საბჭოთა საქართველო 57 წლისაა



ბილოცავთ!

.კავშირის უმაღლესი საბჭოს ..ზიდიუმის 1978 წლის 22 თე.. ..ვლის ბრძანებულებით 1977 ..ის საკავშირო სოციალისტურ ..ბრებაში მოპოვებული წარმა.. ..ისთვის მიწათმოქმედების ..დუქტების წარმოების ზრდისა .. სახელმწიფოსთვის მიყიდვის ..მებისა და სოციალისტური ვა.. ..ენილი შრომითი მამაცობის.. ..ის სოციალისტური შრომის გმი.. .. წოდება მიენიჭათ საქართვე.. ..ს სსრ სოფლის მეურნეობის ..წინავეებს; გურჯაანის რაიო.. .კალინინის სახელობის კოლმე.. ..ეობის ბრიგადირს **ქარუმ სან.. ..ის ძე ბურდიაშვილს**, ხობის ..ონის კიროვის სახელობის კო.. ..ურნეობის თავმჯდომარეს **შა.. ..ლავრენტის ძე კემულარიას**, ..ის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის ..ელ მეჯინისწყლის კოლმეურ.. ..ბის ბრიგადირს **მამუდ რამიზის ..მიქელაძეს**, აფხაზეთის ასსრ ..ის რაიონის ლენინის სახელო.. კოლმეურნეობის ბრიგადირს ..ეტი ჯაგას ძე შონიას.**

• • •

.რ კავშირის უმაღლესი საბჭოს ..დიუმმა 1978 წლის 22 თებერ.. ..ბრძანებულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა .. ჯგუფი დააჯილდოვა სსრ კავ.. ..ს ორდენებითა და მედლებით .. წელს საკავშირო სოციალის.. შეჯიბრებაში მიღწეული წარმა.. ..ისთვის, მარცვლეულის, ჩაის ..ის, ციტრუსების, ბოსტნეულისა ..იწათმოქმედების სხვა პროდუქტე.. ..წარმოების ზრდისა და სახელმწი.. ..თვის მიყიდვის გეგმებისა და სო.. ..ისტური ვალდებულებების შეს.. ..ბაში გამოჩენილი შრომითი მამა.. ..ისთვის. სსრ კავშირის ორდენე.. და მედლებით დაჯილდოვდნენ ..ოლმეურნეები, საბჭოთა მეურნე.. ..ს მუშები, მექანიზატორები, სო.. .. მეურნეობის სპეციალისტები, ..ზადებელი, სატრანსპორტო, სა.. ..ორაციო ორგანიზაციები, სოფ.. ..ნიკის საწარმოთა მუშაკები, აგრე.. ..პარტიული, საბჭოთა, პროფკავში.. .. და კომკავშირული ორგანოების ..კები, რომლებმაც განსაკუთრე.. გამოიჩინეს თავი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 40 (6105)

1978 წ. 25 [illegible]

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს საიუბილეო მედლები გადაეცათ

**22 თებერვალს** კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა **დ. თ. უსტინოვმა** საზეიმო ვითარებაში გადასცა ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, მ. ა. სუსლოვს, გ. ა. ალიევს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს, ქ. ვ. რუსაკოვს** საიუბილეო მედლები „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წელი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ლ. ი. ბრეჟნევმა** საიუბილეო მედალი გადასცა ამხანაგ **დ. თ. უსტინოვს**. (საქინფორმი).

### სოცშეჯიბრების მიზანი — სპორტსმენთა ოსტატობის მკვეთრი ამაღლება

# ორიენტირი — «ოლიმპიადა-80»

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წინაშე ახალი, ნათელი პერსპექტივები დასახა.

წერილის პასუხად ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე ხარისხიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის. ვალში არც ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები არიან: ყველგან — კოლექტივებს, რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულებისთვის, მოსახლეობაში გამაჯანსაღებელი მუშაობის ამაღლებისთვის.

**მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ღირსეულად შეხვედრისა და რესპუბლიკის სპორტსმენთა ოსტატობის დონის მკვეთრად ამაღლების მიზნით ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.**

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება ხელს შეუწყობს სპორტის ოლიმპიური სახეობების შემდგომ განვითარებას, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა რიგების ზრდას, ოლიმპიური ნაკრებისთვის მეტი კანდიდატების მომზადებას, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის სრულყოფას.

შეჯიბრება შეადგენს ოლიმპიურ ციკლს და მოიცავს 1977-80 წლებს. შედეგები ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ დაჯამდება: ზამთრის ოლიმპიურ სახეობებში — 15 მაისისთვის, სპორტის ზაფხულის სახეობებში — 15 იანვრისთვის.

შეჯიბრებას ხელმძღვანელობს საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდური სამმართველო, რომელსაც საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულმა სამმართველოებმა და განყოფილებებმა, მთავარმა მწვრთნელებმა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებმა რეგულარულად, ოფიციალური შეჯიბრების დამთავრებიდან ხუთი დღის განმავლობაში უნდა წარუდგინონ ცნობები სპორტსმენების, გუნდების მიერ, სპორტსაზოგადოების საბჭოების, საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში I-III ადგილების მოპოვების შესახებ, აგრეთვე, მასალები ამავე რანგის შეჯიბრებებში იუნიორების, ჭაბუკებისა და გოგონების მიერ საპრიზო ადგილების დაკავების თაობაზე.

ეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება 3 ჯგუფად ეწყობა: **პირველ** ჯგუფს ქმნიან ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორის, ჭიათურის, ზუგდიდის, ტყიბულისა და წყალტუბოს სპორტკომიტეტები, **მეორეს** — სპორტსაზოგადოებები და სამინისტროებისა და უწყებების ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, **მესამეს** — რესპუბლიკის რაიონების სპორტკომიტეტები.

საქართველოს სპორტკომიტეტმა ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, უწყებების ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს დაავალა ფართო ორგანიზატორული მუშაობა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩატარებისთვის, მასში ჩააბან ყველა კოლექტივი, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლები, ბავშვთა და მოზარდთა, ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლები, ოლიმპიური მომზადების საყრდენი პუნქტები; მიაღწიონ სპორტის მასობრივი განვითარების, სპორტლონისძიებათა ჩატარების დონის ამაღლებას, უზრუნველყონ მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება — რესპუბლიკის, ქვეყნის ნაკრების კანდიდატების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ საერთაშორისო სარბიელზე სამშობლოს სპორტული ღირსების დაცვას, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაში წარმატებით ბრძოლას.

ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ორგანიზატორები, აგრეთვე, რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა მწვრთნელები, რომლებიც ოლიმპიურ ციკლში, უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარების საქმეში — 1980 წლის 1 ივლისისთვის საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწევენ (30 კაცი), საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდებიან; სოცშეჯიბრებაში ჯგუფების მიხედ- [illegible] და ზაფხულის სახეობათა განვითარებაში საპრიზო ადგილებზე გასული ორგანიზაციები — სპორტკომიტეტის გარდამავალი ვიმპელებითა და სიგელებით.

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდურმა სამმართველომ შეიმუშავა და საქართველოს სპორტკომიტეტის ბრძანებით დამტკიცდა მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის შესახვედრად უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების შეჯიბრების დებულება, რომელიც მთელ რიგ საკითხებს ითვალისწინებს, ეს დებულება ყველა სპორტკომიტეტს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, ორგანიზაციებსა და უწყებებს სახელმძღვანელოდ გადაეგზავნა.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების სამივე ჯგუფის შედეგებს „ლელო“ გამოაქვეყნებს ყოველწლიურად, ზამთრის სახეობების მიხედვით — მაისში, ზაფხულის სახეობების მიხედვით — იანვარში.

## თხილამურები

**ლაჰტის** მსოფლიო ჩემპიონატზე მორიგი დღე საბჭოთა მოთხილამურეებისათვის უიღბლო გამოდგა. 4×5 კილომეტრზე ქალების ესტაფეტაში საბჭოთა სპორტსმენები ექვსჯერ ზედიზედ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები, მაგრამ მათ მეშვიდე სტარტში ბედმა უმტყუნა — მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდნენ.

ჩვენმა კვარტეტმა პირველივე ეტაპზე (ნ. როჩევა) 29 წამი წააგო ფინელ ტ. იმპიოსთან, შემდეგ მას მ. როსტოკმაც (გდრ) გაასწრო, რის გამო როჩევამ თანაგუნდელ ზ. ამოსოვას ესტაფეტა მესამედ გადასცა.

მართალია, ამოსოვამ მეგობრის მარცხი გამოასწორა და მეტოქეებს თითქმის წუთიც მოუგო, მაგრამ მესამე და მეოთხე ეტაპებზე რ. სმეტანინამ და გ. კულაკოვამ მონაპოვარი ვერ შეინარჩუნეს. საბოლოოდ ჩვენი გუნდის დროა 1:13.39,88. ისინი გდრ-ის კვარტეტს 10,14 წამით ჩამორჩნენ, ხოლო ფინეთის სპორტსმენებმა, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონების ოქროს მედლები ამ სახეობაში პირველად მოიგეს, 20 კილომეტრის გავლას 1 საათი, 13 წუთი და 25,08 წამი მოანდომეს.

## ტელეტაიპის ლენტიდან

### ალპინიზმი

**კატმანდუ.** მსოფლიოს უდიდესი მწვერვალის — ევერესტის (8848 მ ზღვის დონიდან) ყველა 56 დამპყრობი მიწვეულია ნეპალის დედაქალაქში პირველი ასვლის 25-ე წლისთავის ზეიმზე.

ამ ერთკვირიანი ზეიმის (25-31 მაისი) „მთავარი დამნაშავეები“ არიან ცნობილი მთამსვლელი ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარი და შერპი თენსინგ ნორგეი, რომლებმაც 1953 წლის 29 მაისს ალპინიზმის ისტორიაში პირველად დაიპყრეს ეს უმაღლესი მწვერვალი.

იმ ღირსსახსოვარი დღიდან ევერესტზე ავიდა 54 კაცი და 2 ქალი.

### ცურვა

**ლოს-ანჯელესი.** მონრეალის ოლიმპიადის 4 ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედლის მფლობელს, 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენს ჯონ ნაბერს გადაეცა სალივანის პრიზი, რომელიც ყოველწლიურად მიენიჭება ხოლმე აშშ-ის საუკეთესო მოყვარულ სპორტსმენს.

სპორტული ჟურნალისტების, რადიოსა და ტელეკომენტატორების ტრადიციული ანკეტის შედეგების მიხედვით ჯონ ნაბერმა 2500 ხმა მიიღო — თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1977 წლის „ვერცხლის პრიზიორმა“, ოლიმპიურმა ჩემპიონმა და 400 მეტრზე თარჯირბენში მსოფლიოს რეკორდსმენმა ედვინ მოზესმა (საქინფორმი).

## პირველი დამსახურებული ოსტატი

**საკავშირო** სპორტკომიტეტის ..გიამ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება პირველად ..ა მშდ კომპლექსის მრავალ.. ..ი გამარჯვებულ სპორტსმენს — ..ელ **ნ. ბოგოსლავსკაიას.**

..ცნობა უდავოდ გაახარებს .. კომპლექსის მრავალმილიონიან ნიშნოსანს და ვფიქრობთ, არც სხვა სახეობებში აღიარებულ დამსახურებულ ოსტატებს ეწყინებათ. ბოგოსლავსკაიას ღირსეულად მიეკუთვნა ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი საპატიო წოდება. მან ხომ 4 წელიწადს ზედიზედ მოიგო მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზების გათამაშებაში მეოთხე საფეხურის მეორე ასაკობრივი ჯგუფის ტურნირი. ასეთი წარმატება აქამდე არავის ქონებია.

გორკელმა სპორტსმენმა მეოთხე ოქროს მედალი 4 თვის წინ თბილისში მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიეძღვნა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახელოვან იუბილეს









# ესტაფეტა მიაქვთ არმიელებს

**ლენინის** სახელობის მოედანზე სტარტი ჰქონდა ამანათრბენმა — თბილისის „დიდმა რკალმა“. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ შეჯიბრებაში პირველად იასპარეზეს თბილისის უმაღლესი საარტილერიო წითელდროშოვანი სამეთაურო სასწავლებლის კურსანტებმა. ჩვიდმეტკილომეტრიანი მანძილი ყველაზე ადრე დაფარეს № 7 გუნდის კურსანტებმა.

**ფალავანთა** კლუბში გაიმართა თბილისის შინაგან საქმეთა საგზაო ზედამხედველობის ქვედანაყოფის პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ გ. დათაშვილი, [illegible] შპეტიშვილი, ს. დვალიშვილი, [illegible] მალაღაძე, ზ. მიშელაშვილი, [illegible] ონელაშვილი.

**ჩატარდა,** აგრეთვე, ავტო-მოტოველო გადარბენა, რომელშიც მონაწილეობდნენ დოსააფისა და ქალაქის ნაკრები გუნდის წევრები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



# „არავინ და არაფერია დავიწყებული“

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 60 წლისთავთან დაკავშირებით ჭადრაკის სასახლეში მოეწყო შეხვედრა დიდი სამამულო ომისა და სპორტის ვეტერანებთან. რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციის სახელით ომგადახდილებს მიესალმა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი.

შეკრებილებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ომის ქარცეცხლიანი დღეები, გაიხსენეს გმირები, რომლებიც ვერ მოესწრნენ გამარჯვების დიად დღესასწაულს. წუთიერი დუმილით, ფეხზე ადგომით პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას.

— საუკეთესო სპორტსმენები გაგზავნა დიდ სამამულო ომში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა, — ამბობს ამავე ინსტიტუტის კათედრის გამგე შ. ბუაძე, — ყოველწლიურად, 9 მაისს იმართება ჩოგბურთელთა მემორიალი, რომელიც ომში დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირის, ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტის ვახტანგ ლეჟავას ხსოვნას ეძღვნება. წლეულს ამ შეჯიბრებაში უცხოელი სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას.

დიდი სამამულო ომის საბრძ[ოლო] ეპიზოდები გაიხსენეს ვეტერანთა [საბ]ჭოს თბილისის ფილიალის თავმჯ[დო]მარემ მ. ხუსკაძემ, საქართველოს ფ[იზ]კულტურის ინსტიტუტის ომის ვე[ტე]რანთა საბჭოს თავმჯდომარ[ემ] მაისურაძემ, სპორტის დამსახურ[ებუ]ლმა ოსტატმა, საქართველოს სსრ ფ[იზ]კულტურისა და სპორტის დამს[ახუ]რებულმა მოღვაწემ გ. მერკვილ[აძემ], საქართველოს ფიზკულტურისა [და] სპორტის ვეტერანთა საბჭოს თა[ვმ]ჯდომარემ ო. დიდებულიძემ და სხ[ვე]ბმა.

თბილისის 158-ე საშუალო სკო[ლის ჯუ]ნორჩმა მომღერლებმა და მოც[ეკ]ვავეებმა ხალისი და ელფერი შემ[ატეს] საღამოს.

გულთბილმა შეხვედრამ, დაღუ[პუ]ლი გმირების გახსენებამ კიდევ ე[რთ]ხელ ცხადყო, რომ „არავინ და ა[რა]ფერია დავიწყებული“.

ქ. ბახუტაშვილ[ი]

• • •

სურათზე: ვეტერანთა ს[ხდო]მოზე.

# 65 კალენდარული დღე. ეყოფათ მშენებლებს?




**ყოველი** ახალი დღე აახლოვებს თბილისში, სანაპიროზე მდებარე საცურაო კომპლექსის საექსპლოატაციოდ გადაცემის უკანასკნელ ვადას, რომელიც მშენებლებს ოფიციალურად დაუდეს.

წინა წერილებში ვწერდით, რომ შრომის ტემპი საგრძნობლად გაიზარდა, ახლა ყველა უბანზე ნამდვილი შემოქმედებითი საქმიანობაა გაჩაღებული, ყოველდღიურად მატულობს ნალისი. დაგებული მოზაიკის ფილების ფართი, სავენტილაციო გაყვანილობით დაიქსელა ნაგებობა, დილიდან საღამომდე არ წყდება სანტექნიკოსების, მემონტაჟეების, მებეტონეების, დურგლების ფუსფუსი.

თითქმის ყველა უბანზე ყველა სამმართველომ უკანასკნელი კვირის გეგმა შეასრულა, ზოგმა გადაჭარბებითაც („ინჟმშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ — 111 პროცენტით, „საქსპორტმშენის“ № 1 სარემონტო სამშენებლო კანტორამ — 104,7 პროცენტით), მაგრამ იმის გამო, რომ ქალაქის საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტი ჩამორჩა (ბოლო კვირის გეგმა მხოლოდ 60 პროცენტით გაანალდა), ობიექტზე მთლიანად გეგმის შესრულება 92,2 პროცენტს ვერ გასცდა. აქ გასულ კვირაში 65,5 ათასი მანეთის საქმის მაგიერ 63,6 ათასი მანეთის სამუშაო გაკეთდა.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტსა და ვაჭრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციის ოსტატებს თითქმის ერთი თვის განმავლობაში შესასრულებელი დარჩათ 6-6 ათასი მანეთის, ხოლო „საქსპორტმშენის“ № 1 სარემონტო-სამშენებლო კანტორას — 15 ათასი მანეთის სამუშაო. ეს საკმაოდ სოლიდური ციფრია.

მაგრამ ქალაქის საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტსაც, „საქსპორტმშენსაც“, ვაჭრობის სამინისტროს მშენებლებსაც, ყველას, ვისაც უსაყვედურეს, უკან როდი დაუხევიათ: ჩამორჩენა მარტო ჩვენი მიზეზი როდია, მოიჯარე ფრონტს ვერ გვაძლევს, საპროექტო ორგანიზაცია ნახაზებში ცვლილებების შეტანას აგვიანებს, სანტექნიკური სამუშაოების შეუსრულებლობა გვამუხრუჭებს, ვენტილაციის გაუყვანლობაც წინ გვეღობება, შეკიდული ჭერის რიგი საკითხების გადაწყვეტასაც ველოდებით, ამას უამინდობაც ემატება. — ერთხმად აცხადებდნენ ისინი და მართალიც არიან.

„საქსპორტმშენის“ № 1 სარემონტო-სამშენებლო კანტორის მთავარმა ინჟინერმა თ. კასრაძემ იქით შეგვტია: ყოველდღიურად 20-25 კაცს ვამუშავებთ, საკმაოდ შრომატევადი საქმე გვაქვს, მაგრამ ფრონტის უქონლობის გამო ზევრს ვცდებით — მშენებლობის მარცხენა მხარე ჯერ დამთავრებულიც არ არის, დარბაზები როგორღა მოვაწყოთ? ვაუების საშხაპეებში, გასახდელებში ნიადაგი მოუმზადებელია, ამიტომაც არც ლესვა ხერხდება, არც ფილების გაკვრა, სანტექნიკოსებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, მანამდე კი ზოგ უბანზე ხელს ვერ ვკიდებთ საქმეს. შეკიდული ჭერის კიდეების, სავენტილაციო სამუშაოების დაუმთავრებლობა და ნახაზების დაუზუსტებლობა აფერხებს. ზარემ იმასაც ვიტყვი, რომ საკმაოდ უხეიროდ აყვანილი კედლების ლესვა ორმაგ შრომას მოითხოვს, ფასი კი ერთი აქვს...

კასრაძე ბევრ სხვა ქვემოიჯარეს გადაწვდა — ობიექტზე ყველა ერთმანეთზეა დამოკიდებულიო. ეს სწორია. ამიტომაც ჩვენი არჩევანი (გაგვერკვია რატომ უშლიდნენ ხელს მაგალითად „საქსპორტმშენის“ ოსტატებს), თბილისის სარემონტო სამმართველო „სანტექმონტაჟზე“ შეჩერდა. სამმართველოს უფროსი გ. ბოგიშვილი კასრაძეს გალმა არ შედავებია, მაგრამ მოიჯარის მიმართ იმდენი პრეტენზია წამოაყენა, რომ ტრესტ „ინჟმშენს“ კარგად არ ახასიათებს.

— 15 იანვრის მერე გეგმას რეგულარულად ვასრულებთ, მაგრამ ახლა სანტექნიკის სამუშაოების გაგრძელება საფრთხის წინაშეა, რადგან მოიჯარისა და დამკვეთის მიერ ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული სხვადასხვა მასალა. ისინი ვერ გვაწვდიან საშხაპო ემალირებულ პადონებს (ასეთი კიდევ 130 უნდა მიიღონ), გადასაწყვეტია კერამიკული ურინალების, ფილტრების, ბოილერების, სხვადასხვა ჩამკეტი არმატურის საკითხი. აი, რა გვაკლია, — გვიხსნის ბოგიშვილი და გვიჩვენებს ორ გვერდზე დაბეჭდილ სიას, რომელშიც 90 სხვადასხვა დასახელების მასალაა აღნიშნული, — როგორ ვიმუშაოთ? რასაც ვაკეთებთ, იმასაც საერთო საქმის სიყვარულით ვახერხებთ.

მე ეს მოთხოვნა შტაბის უკანასკნელ სხდომასაც წარვუდგინე. თუ მასალებით მომარაგებაში შეფერხებას ბოლო არ მოეღო და თვის ბოლომდე მთლიანად არ დაგვაკომპლექტეს, სანტექნიკური სამუშაოები ჩაიშლება; ხოლო იქ, სადაც ჩვენ საქმეს არ მოვრჩებით, ლესვაზე, ფილების გაკეთებაზე ლაპარაკიც ზედმეტია...

კასრაძემ და ბოგიშვილმა სხვა [illegible] — „ინჟმშენსაც“ აქვს პრეტენზიები და ძირითადად საპროექტო ორგანიზაციის მიმართ! მას დღემდე არ მოუცია ალუმინის ვიტრაჟების პროექტი, ამიტომაც ქარხნისთვის მათი დამზადება ჯერ არ დაგვიკვეთია, მშენებლობაზე დღემდე არ არის შექმნილი საპროექტო ორგანიზაციის ოპერატიული ჯგუფი, რომელიც ყველა წვრილმან საკითხს აქვე, ადგილზე გადაწყვეტდა, — გვეუბნება ტრესტ „ინჟმშენის“ მთავარი ინჟინერი თ. ებრალიძე.

აუზის პროექტის ავტორს შ. ყაველაშვილს არ დაუმალავს, რომ მათი მხრიდან ზოგი რამ მართლაც ფერხდება, რომ სწორია მოთხოვნა ალუმინის ვიტრაჟების პროექტის შესახებ, მაგრამ იგი ებრალიძეს არ ეთანხმება ობიექტზე საპროექტო ორგანიზაციის ოპერატიული ჯგუფის შექმნის აუცილებლობაში. ეს საქმეს არ აფერხებსო. რომელი მათგანია სწორი, ამას გაარკვევენ სადაც ჯერ არს. ერთი კი ფაქტია, ახლა ყველა ერთ მუშტად უნდა შეიკრას.

ეს ამბები, ასე ვთქვათ, კულუარებში ხდება, მუშებს, რომელთა რიცხვი ხანდახან 200 აჭარბებს, საქმე თითქმის არ აკლიათ, ყოველ შემთხვევაში, ისინი ამას ვერ გრძნობენ, რადგან ხან ერთ, ხანაც მეორე უბანზე სამუშაოდ აგზავნიან (ეს იმაზეა დამოკიდებული საქმე სად გაჩნდება). „ინჟმშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოსთან კომკავშირელ ა. კულუმბეგაშვილის ინიციატივით ერთი თვის წინათ შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელშიც შვიდი კაცი გაერთიანდა. ახალგაზრდებმა ყველაზე ძნელ უბანზე შრომა ივალდებულეს.

— ყოველდღიურ დავალებებს ისინი მუდამ 110-120 პროცენტით ასრულებენ, — გვიამბობს აუზის მშენებლობის უფროსი, სამუშაოთა მწარმოებელი გ. ხუროშვილი, — კულუმბეგაშვილი საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის [illegible] ობიექტზე მისი არყოფნა ბრიგადას არც დატყობია — მის საქმესაც ბიჭები აკეთებდნენ...

— ყრილობამ რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის ფართოდ გაშლაზე, საქართველოში სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებაზეც იმსჯელა. ყველა კომკავშირელს, ყველა ახალგაზრდას დაგვავალა ვიყოთ აქტიურნი ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად, ფართოდ გავშალოთ სოცშეჯიბრება. ამის შესახებ ჩემს მეგობრებს ყრილობიდან დაბრუნებისთანავე ვესაუბრე. შვიდივე გულმოდგინედ ვმუშაობთ, რადგან გვეამაყება, რომ რესპუბლიკის ამ უნიკალურ ნაგებობაში ჩვენი წვლილიც იქნება. — გვითხრა კულუმბეგაშვილმა.

იგი სამმართველოში 5 წელია მუშაობს და მუდამ მოწინავეთა შორისაა. ამ უბანზე მას მხარს უმშვენებენ ს. სტეფნაძე, ნ. ნიკოლაძე და ვ. საიკოვი. იმ დღეს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა პრესკორპუსის საყრდენი კედლის ამოყვანაზე მუშაობდა. წვიმდა. ბიჭებს სადმე თავის შეფარებაც კი არ უფიქრიათ.

მოწინავენი სხვა სამმართველოებს, ტრესტებს, კანტორებსაც ჰყავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, წუნის მკეთებლებიც ურევიათ. კონტროლიორები იძულებული გახდნენ დახურული აუზის დარბაზის კედლების მომპირკეთებლების 10 კვ მეტრი ფილა მოეხსნათ ნაკერების უსტანდარტობისთვის; პრესკორპუსის წინ დაგებული მოზაიკური ფილები არც თარაზოთაა გასწორებული, არც დაქანება აქვს, ამიტომაც, როგორც გვითხრეს, ეს სამუშაოც ხელახლა უნდა შესრულდეს, ასეთი ფაქტები, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, სხვაგანაც გვხვდება.

...გუშინწინ აუზის მშენებლობაზე თუნდაც ერთი საათით მოსული კაცი ნათლად შეამჩნევდა, რომ ახლა აქ ბევრი რამ მოგვარდა, საკითხების უმეტესობა ოპერატიულად წყდება — მოდის სამშენებლო მასალები, მზა ნაწარმი, ბეტონი... ამწევებს, რომლებიც ხშირად ცდებოდა, მოცლა აღარ აქვთ. ეს კარგი გარანტიაა.

ო. გელაშვილი.

## წერილის კვალდაკვალ

# «ჩიტი — ბდღვნად?»

„ლელოს“ 1978 წლის 3 [...]რის ნომერში ამ სათაურით და[...]ჭდა ჩვენი სპეციალური კორე[...] დიდის განათლების განყოფილ[...] ბავშვთა და მოზარდთა სპორ[...] სკოლის შენობის სავალალო მ[...]მარეობაზე მოგვითხრობდა. წ[...]ლში ნათქვამი იყო, რომ შენო[...] წვიმა ჩამოდის, სპორტული დ[...]ზის იატაკი, ფანჯრები და კ[...] დაზიანებულია, მოსალოდნ[...] კედლებისა და ჭერის ჩამონგ[...] სარემონტო სამუშაოები კი ჭ[...]რდება.

როგორც ზუგდიდის სახ[...] დეპუტატების საქალაქო ს[...] აღმასკომიდან გვატყობინებენ, [...]რილში მოყვანილი ფაქტები ს[...]დვილეს შეესაბამება. ამჟამად [...]რი ტემპით მიმდინარეობს შენ[...] კეთილმოწყობის სამუშაოები, [...]ვე დამთავრებულია გადახ[...] სპორტულ დარბაზში მოეწყობ[...] ნტრალური გათბობა, შეიცვ[...] იატაკი და კარ-ფანჯარა.

ზუგდიდის სარემონტო-სამშ[...]ლო სამმართველოს დაევალა [...] თვეში დაამთავროს შენობის [...]ლი რემონტი.

## ჭიდაობა

**სამტრედიაში** ჩატარდა რეს[პუბ]ლიკის სოფლის სპორტსმენთა [სპ]არტაკიადის პროგრამით გათვა[ლის]წინებული პირად-გუნდური [პირ]ველობა კლასიკურ ჭიდაობაში, [სა]დაც რესპუბლიკის 16 ქალ[აქი]სა და რაიონის 150-ზე მეტი სპ[ორტ]სმენი მონაწილეობდა.

გუნდურ შეჯიბრებაში პირ[ველი] ადგილი აჭარის ნაკრებმა მოი[პოვა], მომდევნო ადგილებზე კი საქ[არ]თველოს სასოფლო-სამეურნეო [ინს]ტიტუტისა და სამტრედიის [...] ტკლუბის ფალავნები გამოვიდ[ნენ].

წონითი კატეგორიის მიხე[დვით] ჩემპიონები გახდნენ: ა. დ[...] (აჭარა), თ. ხატიაშვილი, [...] ბაროვი (ორივე — საქართვე[ლოს] სასოფლო-სამეურნეო ინსტიტ[უტი]), თ. პილოსიანი (აფხაზეთი), [...]ნელიძე (აჭარა), ვ. ადეიშ[...] (სასოფლო-სამეურნეო ინსტ[იტუ]ტი), ჯ. მახარაძე, თ. წულ[...] (ორივე — აჭარა), მ. სურმა[...]ჭელიძე (ორივე — სასოფლ[ო-სა]მეურნეო ინსტიტუტი).

ი. ნიკოლეიშვი[ლი]

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში

# კვლავ ჩვენთან, ათი წლის შემდეგ

თბილისის სპორტის სასახლეში 25 თებერვლიდან 5 მარტამდე გაიმართება საკავშირო ჩემპიონატი კრივში. მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება თბილისში 10 წლის წინათ მოეწყო. 1968 წლის ნოემბერში აქ საკავშირო თასისთვის იბრძოდნენ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებისა და „დინამოს“ ნაკრები გუნდები.

და აი, საქართველოს დედაქალაქი 1978 წლის ქვეყნის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად სპორტის სასახლის რინგზე მოუხმობს უძლიერეს საბჭოთა ოსტატებს. რატომ იყო, რომ მოკრივეთა საკავშირო ტურნირები ასე დიდხანს არ ეწყობოდა თბილისში და რატომაა რომ, 10 წლის შემდეგ, სამამულო კრივის მთავარი მოვლენის ეპიცენტრი კვლავ აქ გადმოვიდა? გადავხედოთ ისტორიას.

ჩემპიონის წოდებისთვის ბრძოლაში ქართველი სპორტსმენები პირველად 1936 წელს ჩაებნენ. დებიუტი წარმატებით დაგვირგვინდა. ჩემპიონატის პრიზიორთა შორის გამოჩნდა თბილისელი გ. ვართანოვის სახელი, რომელმაც ქვემსუბუქ წონაში II ადგილი დაიკავა. ორი წლის შემდეგ, 1938 წელს ფინალურ ორთაბრძოლაში მან მოუგო ქვემსუბუქწონოსან ა. გრეინერს და დაიმკვიდრა ჩემპიონის წოდება მთელი სამი წლით — 1941 წლამდე, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე.

1936 წლიდან დაიწყო საქართველოს ტყავის ხელთათმნის ოსტატების გამარჯვებები ქვეყნის რინგებზე, რომელიც თითქმის 20 წელი გაგრძელდა. 1936 წელს საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა ბელორუსიის, სომხეთის, კარელია-ფინეთის გუნდები და დაიკავა I ადგილი ქვეყნის გუნდურ პირველობაზე მეორე ჯგუფში. 1944 წელს სსრ კავშირის X ჩემპიონატში ფინალისტების ნახევარს შეადგენდნენ ქართველი სპორტსმენები, რომლებმაც 24-დან 8 საპრიზო ადგილი დაიკავეს. ამ შეჯიბრების სენსაცია იყო მსუბუქ წონაში თბილისელ მოკრივეთა საპატიო კვარცხლბეკის ყველა საფეხურზე ასვლა — I ადგილზე გავიდა შ. გორგასლიძე, II ადგილზე — ბ. მელაძე, III ადგილი კი ბ. კვინიხიძეს ხვდა.

1945 წელს მოკრივეთა თბილისურმა რაზმმა ბ. კალაძის, ვ. მესიანის, ე. არისტაგოვის, გ. ვართანოვის, შ. გორგასლიძის, ბ. მელაძის, შ. დვალის, ლ. ღუდუშაურის, ა. ნავასარდოვის შემადგენლობით (მწვრთნელი ა. გოლდშტეინი) მოუგო ბაქოს (7:1), ლენინგრადის (4:3), მოსკოვისა (4:3) და ტალინის გუნდებს და გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. 1346 წელს ასეთივე შეჯიბრებაში თბილისის გუნდი II ადგილზე გავიდა.

საქართველოს მოკრივეებმა რვაჯერ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება და 48-ჯერ იყვნენ ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორები (28-ჯერ გავიდნენ II, ხოლო 20-ჯერ III ადგილზე).

გიორგი ვართანოვმა სამჯერ მოიპოვა პირველი ხელთათმნის წოდება, გ. ხანუკაშვილი საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონია, სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს შ. გორგასლიძემ და ლ. ღუდუშაურმა. მაგრამ ყველაზე პოპულარული არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში, იყო თბილისის დინამოელი ანდრო ნავასარდოვის სახელი. ეს იმიტომ კი არა, რომ იგი იყო ქვეყნის ჩემპიონი მძიმე წონით კატეგორიაში, არამედ 10 წლის განმავლობაში ეპაექრებოდა ყველაზე გამოჩენილ საბჭოთა მოკრივეს, ნიკოლოზ კოროლიოვს (მოსკოვი, „სპარტაკი“).

აი, რატომ არ იყო იმ შორეულ წლებში თბილისის რინგი ცარიელი და რატომ იყვნენ მისი ხშირი სტუმრები კრივის უძლიერესი ოსტატები.

1958 წლიდან დაიწყო საქართველოს მოკრივეთა წარუმატებლობა, ხოლო რინგიდან „უკანასკნელი მოჰიკანების“ — რ. კალაჯევის, ნ. და გ. დარბაისლების, ს. ჩატულიდის, ლ. ანდღულაძის, ჯ. კვანტალიანის, ნ. ქიქავას და ა. ნეფედოვის წასვლის შემდეგ საქართველოს სსრ მოკრივეთა სახელი ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორთა სიაში 12 წლის მანძილზე აღარ გვიხილავს.

1976 წელს საქართველოს კრივს კვლავ „გაუღიმა ბედმა“, — სვერდლოვსკის 42-ე საკავშირო ჩემპიონატში ქვემძიმე წონაში გაიმარჯვა თბილისელმა სტუდენტმა დავით კვაჭაძემ (მწვრთნელები ბუმბიაშვილი და ნავასარდოვი). 1977 წელს დავითმა ოქროს დუბლი გააკეთა და ქვეყნის ჩემპიონის მეორე ოქროს მედალთან ერთად საქართველოს აჩუქა, პირველად რესპუბლიკის კრივის ისტორიაში, ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი. იმავე წელს შორეულ ფრუნზედან, სადაც გაიმართა ქვეყნის 43-ე ჩემპიონატი, თბილისში ბრინჯაოს მედალიც „ჩამოვიდა“. იგი მოიპოვა ყველაზე მსუბუქი წონითი კატეგორიის (48 კგ-მდე) წარმომადგენელმა, სტუდენტმა ლ. ხიზანიშვილმა.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე (1975 წ.) საქართველოს ნაკრებმა გუნდმა მე-16-დან მე-8 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 1977 წლის ქვეყნის ჩემპიონატზე VII ადგილი დაიკავა.

ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კრივი საქართველოში აღმავლობას განიცდის, თუმცა არც ისე სწრაფად, მაგრამ გეზს იღებს ქართული რინგის ყოფილი დიდების აღორძინებისაკენ. აირჩიეს რა თბილისი 44-ე საკავშირო ჩემპიონატის დედაქალაქად, საკავშირო სპორტკომიტეტის შესაბამის სამმართველოსა და კრივის საკავშირო ფედერაციას მტკიცედ სწამთ, რომ ეს წარმომადგენლობითი ტურნირი ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში კრივის შემდგომ განვითარებას. თბილისის რინგზე ხომ მსოფლიო ჩემპიონი ვ. სოლომინი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. ლემეშევი, ევროპის ორგზის ჩემპიონი ვ. ლიმასოვი, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, ქვეყნის სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი ე. გორსტკოვი და სხვა გამოჩენილი მოკრივეები — მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორები და, რა თქმა უნდა, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი და 1977 წლის ევროპის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში დავით კვაჭაძე, იასპარეზებენ.

შეჯიბრებაში დაშვებულია 176 მოკრივე, რომელთაც აქვთ არანაკლებ სპორტის ოსტატის წოდება. 9 დღის განმავლობაში თბილისის რინგზე გაიმართება 200 შეხვედრა. ჩემპიონობის მოსაპოვებლად თითოეულმა მოკრივემ უნდა ჩაატაროს 4 ორთაბრძოლა და ოთხივეში გაიმარჯვოს.

მოკრივეს, რომელიც თავის წონით კატეგორიაში I ადგილს დაიკავებს, გადაეცემა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი და I ხარისხის დიპლომი. თუ ჩემპიონის წოდებას მოიპოვებს სპორტის ოსტატი, მას მიენიჭება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება. ის მონაწილენი, რომლებიც თავიანთ წონით კატეგორიებში დაიკავებენ II-III ადგილებს, დაჯილდოვდებიან, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებითა და დიპლომებით.

ჩემპიონატის მთავარი ჯილდოა მსოფლიოს II ჩემპიონატის საგზური, რომელიც მაისში იუგოსლავიაში გაიმართება.

ვის უნდა მიენდოს საბჭოთა დროშის დაცვა ბელგრადში? აი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც თბილისის რინგზე უნდა გადაიჭრას. ამის პასუხს მოუთმენლად მოელის კრივის მილიონობით მოყვარული, მოელის იმ იმედით, რომ წლევანდელი მოკრივეთა ნაკრები ბოლოს მოუღებს იმ უიღბლო გამოსვლებს, რომელიც 6 წელია თან სდევს მას პლანეტის სამოყვარულო რინგის მთავარ ტურნირებში.

მწარე გაკვეთილებს ტყუილად არ ჩაუვლია. მწვრთნელებმა ბევრი რამ გააკეთეს ქვეყნის წამყვანი მოკრივეების ტაქტიკურ-ტექნიკურ მომზადებაში დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად. უკვე გავიარეთ თაობათა ცვლის პერიოდი, გვყავს სტაბილური გუნდი.

25 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით თბილისში, კრივის მოყვარულთა წინაშე ამ მთავარი ძალებით მოეწყობა ბოლო საბრძოლო დათვალიერება ბელგრადის რინგზე გადამწყვეტი ბრძოლების წინ.

ნ. ტარატორინი,
სსრ კავშირის კრივის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

## შეჯიბრების კალენდარი

**25 თებერვალი.** მონაწილეთა პარადი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. წინასწარი შეხვედრები. დასაწყისი 18 სთ. 30 წთ.

**26-27 თებერვალი.** წინასწარი შეხვედრები. დასაწყისი: დილით 12 სთ. 30 წთ., საღამოს 18 სთ. 30 წთ.

**28 თებერვალი.** წინასწარი შეხვედრები. დასაწყისი 12 სთ. 30 წთ.

**1 მარტი.** წინასწარი შეხვედრები. დასაწყისი: დილით 12 სთ. 30 წთ., საღამოს 18 სთ. 30 წთ.

**2 მარტი.** მერვედფინალური შეხვედრები. დასაწყისი 18 სთ. 30 წთ.

**3 მარტი.** მეოთხედფინალური შეხვედრები. დასაწყისი 18 სთ. 30 წთ.

**4 მარტი.** ნახევარფინალური შეხვედრები. დასაწყისი 12 სთ. 30 წთ.

**5 მარტი.** ფინალური შეხვედრები. გამარჯვებულთა დაჯილდოება. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დახურვა.



## შესარჩევი ეტაპი

თბილისის სპორტის სასახლის რინგზე გამართულ ქვეყნის ჩემპიონატში სამამულო კრივის ვარსკვლავებს — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო პირველობის პრიზიორებს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონებს იხილავენ სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლები. ამ ტურნირისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვეს რუმინეთის, პოლონეთის, დანიისა და სხვა ქვეყნების მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა.

**— რით განსხვავდება 44-ე ჩემპიონატი წინა პირველობებისგან? — ჰკითხა ჩვენმა კორესპონდენტმა ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ალექსეი კისელიოვს. ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ საბჭოთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ღიმილით უპასუხა:**

— ჩვეულებრივ, ტურნირის მონაწილე მოკრივე წაგების შემდეგ ბრძოლას გამოეთიშება. ასეთია როგორც საერთაშორისო, ისე საკავშირო ოფიციალური წესი. მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე. გადაწყვეტილია მსოფლიო სამოყვარულო კრივის ისტორიაში პირველად დაიშვას ასეთი გამონაკლისი. სპორტსმენი, რომელიც მეოთხედფინალში გავა და შემდეგ წააგებს შეხვედრას, მოხვდება ეგრეთწოდებულ „დამამშვიდებელ ჯგუფში“. და თუ აქ ყველა ათლეტს მოუგებს, მას კვლავ შეუძლია განაგრძოს ბრძოლა საპრიზო ადგილისთვის.

წესებიდან ასეთი გადახვევა იმ მიზნით გაკეთდა, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი მოულოდნელობა უძლიერესთა გამოვლინებისას. არადა ხანდახან ასე ხდება: უძლიერესები ხვდებიან ერთმანეთს წინასწარ ორთაბრძოლებში. ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც გამარჯვებას შეალია მთელი ძალ-ღონე, მეორე დღეს აგებს უფრო სუსტ მეტოქესთან.

თბილისის შეჯიბრების ჟიურის სათავეში უდგას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ოლიმპიური ჩემპიონი, ვილნიუსელი **დან პოზნიაკი**. მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში არიან, აგრეთვე, ისეთი სახელგანთქმული ოსტატები, როგორიც არიან ერევნელი **ვლადიმერ ენგიბარიანი** და ლენინგრადელი **გენადი შატკოვი**, ევროპის ჩემპიონი მოსკოველი **ვილინგტონ ბარანიკოვი** და სხვ.

თბილისის ტურნირი პირველი შესარჩევი ეტაპია ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატის წინ. მეორე ეტაპი იქნება საერთაშორისო ტურნირი, რომლის მოწყობა დაგეგმილია ალმა-ათაში 28 მარტიდან 2 აპრილამდე.

ჰ. ხაჩკოვანიანი.

# „ვაჟკაცურ“ ხელგაშლილობას — მტკიცე უარი!

ადამიანთა ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ხშირად მომხდარა: დასაწყისში ერთი შეხედვით ღიმილის მომგვრელი და არად ჩასაგდები ჩვევა ხავალალო მანკად ქცეულა, მანკიერებას კი, სარეველასი არ იყოს, ერთი თვისება აქვს — ღრმად იცის ფესვის გადგმა და თუ წაუყრუე, თუკი თავის ნებაზე მიუშვი, ისე გალაღდება, ისე მომძლავრდება და გაღონიერდება, თავს ძნელადღა ამოგაძირკვინებს.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისთვის მავნე და მიუღებელი მრავალი ადათი მისცემია დავიწყებას, ბევრი შეუფერებელი წეს-ჩვეულება ამოუძირკვავს ადამიანის შეგნებას, მაგრამ ამ პროცესს მუდამ უმტკივნეულოდ როდი ჩაუვლია. მიუხედავად ამისა, ყოველი თაობის ვალია დაუნდობლად ებრძოლოს დრომოჭმულ ჩვევებს, გამუდმებით უარყოს ყველაფერი, რაც სახელს უტეხს ერს და მის წინსვლა-განვითარებას აფერხებს. სწორედ ასეთი ბრძოლის შედეგად საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა ის ადათ-წესები და ჩვეულებები, რაც დღეს გვეამაყება. ასე ჩამოყალიბდა ჩვენი საქვეყნოდ განთქმული სტუმართმოყვარეობა, თავისუფლების სიყვარული, მოკეთის პატივისცემა და მტრისადმი სიძულვილი, უფროსისა და ქალის მიმართ მოწიწება, დიდი შრომისმოყვარეობა და მრავალი სხვა, რომელიც ასე ბრწყინვალედ ახასიათებს ჩვენს ხალხს. დიახ, ერის ხასიათი, მისი მეობა საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ხელიდან ხელში გადაეცემოდა მომდევნო თაობას.

იმ მრავალი მანკიერებებიდან, რომელთაც ადამიანი მთელი თავისი არსებობის მანძილზე დაუნდობლად ებრძვის, ამ პატარა წერილში მხოლოდ ერთს გვინდა შევეხოთ, ესაა ანგარება, სიხარბე, მომხვეჭელობა. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს მანკი დღესაც ბოგინობს ჩვენში, დღესაც ბევრია ამ სამარცხვინო სენით შეპყრობილი, რადგან ეტყობა ჯერ კიდევ ვერ მიგვიკვლევია იმ მახვილი და უტყუარი იარაღისთვის, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა მისი ძირფესვიანად ამოკვეთა, ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ დარაზმულა საზოგადოება მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხშირად პირიქითაც კი ხდება — საზოგადოების ცალკეულ წევრთა ინერტულობითა და გულგრილობით წაქეზებული სენი ახალი ძალით იფურჩქნება და უფრო ღრმად იდგამს ფესვებს უნებურად შექმნილ ნოყიერ ნიადაგში.

ამის ნათელსაყოფად ერთი მაგალითიც იკმარებდა: ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული დაოსტატების სკოლის უფროსმა მწვრთნელმა ე. სანთელაძემ № 7 ავტოპროფილაქტიკის ხელოსან ვ. გარუნოვს საკუთარი ავტომანქანის შეკეთებაში ტარიფით გათვალისწინებული ფასის ნაცვლად ზუსტად 10-ჯერ მეტი გადაუხადა... თითქოს უვნებელი საქციელია, აკი კარგა ხანია შევეჩვიეთ იმას, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთ ობიექტზე ხშირად უხეშად ირღვევა პრეისკურანტებით გათვალისწინებული ფასები, მომხმარებლებს მეტს ახდევინებენ და ამით თითქოს არც არაფერი შავდება, მაგრამ აბა ერთი კარგად ჩავუკვირდეთ — ასეთმა გულგრილობამ და, უკაცრავული პასუხია, ვაჟკაცურმა ხელგაშლილობამ იქნება უკვე ღრმად მოიკიდა ფეხი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და კარგახანია იმ დასაგმობ ჩვევად იქცა, რომელიც დიდად უწყობს ხელს ზემოთ ნახსენები მანკიერების გასაფურჩქნად გამოსადეგი ნოყიერი ნიადაგის შექმნას.

იყო დრო, და არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, როცა ჩვენს რესპუბლიკაში „ნაქურდალით მდიდარი და სულით ღატაკი“ ადამიანები დაეპატრონნენ ბურთსა და მოედანს იმ ავადმოსაგონარ წლებში, თითქოს ერთი ხელისდაკვრით გადაფასდა ყველაფერი, დავიწყება მიეცა ქართველი კაცის დიდბუნოვნება, საუკუნეების მანძილზე დაწმენდილი და გასპეტაკებული ადათ-ჩვევები, ტრადიცია... ფულიანი კაცის სახელს დიდი გასავალი შეექმნა, არმად ნაშოვნი ფულის ფანტვა, „ვაჟკაცური“ ხელგაშლილობა მოდად იქცა და რა დასამალია, ამ „მომხიბვლელმა“ თამაშმა ბევრი პატიოსანი, ალალ ლუკმას ნაჩვევი კაციც ჩაითრია.

რა თქმა უნდა, მაშინაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავდაუზოგავად ებრძოდნენ ამ სულისა და გონების წარმწყმედ მანკს, მაგრამ მათი ხმა მუდამ რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ხოლო ახლა, როცა საშიშ სენთან ბრძოლა დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა, როცა მტკიცედ დაირაზმა საზოგადოება და უფრო ნათლად გამოჩნდა იმ დამღუპველი წლების მიერ მოყენებული უდიდესი სულიერი თუ მატერიალური ზარალი, უგუნურობაა, მეტი რომ არა ვთქვათ, ოფლით ნაშოვნი ფულის ძველებური დარდიმანდობით ფრიალი.

სამწუხაროდ, მოხვეჭელობისა და სიხარბის ფაქტები მხოლოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში როდი გვხვდება. ამ საშიში სენის ფესვები ჯერ კიდევ ბევრგან ღარჩენილა, მის წინააღმდეგ ბრძოლა კი ჩვენი საზოგადოების, ჩვენი თაობის წმიდათაწმიდა ვალია.

# ფინიში ჩრდილოეთში




**საქართველოს** სსრ ზამთრის IV სპარტაკიადა, რომლის სტარტი ბაკურიანში მოეწყო, ჩრდილოეთში დამთავრდა: კიევსკში ჩატარდა ფიგურისტთა შეჯიბრება, ხოლო სვერდლოვსკში — მოციგავეებისა.

ვარაუდობდნენ, რომ დასკვნითი სტარტები საერთო გუნდური ადგილების განაწილებაში კორექტივებს შეიტანდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან, თუ ფიგურულ ციგურაობაში აშკარა უპირატესობა თბილისელი სპორტსმენების მხარეს იყო, ციგაობაში ასეთივე დიდი უპირატესობით ბორჯომის რაიონის სპორტსმენებმა იმარჯვეს. ისე, რომ საბოლოოდ წლევანდელი სპარტაკიადის მთავარი პრიზი ბორჯომის რაიონის ნაკრებ კოლექტივს ხვდა წილად. თბილისელები მეორე ადგილზე დარჩნენ, ხოლო ბოგდანოვკელები — მესამეზე.

ოქტოკის სტარტებში ქალთა ერთეულ სრიალში რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა 15 წლის თბილისელი მოსწავლე ი. ბუთიკაშვილი, რომელმაც 83,42 ქულა მოაგროვა. ვაჟებში იმარჯვა მისმა თანატოლმა, იუნიორებში სსრ კავშირის პირველობის მეორე პრიზიორმა ბ. ყურაშვილმა — 95,22, წყვილთა სრიალში უძლიერესი გახლდათ ს. შკარევსკაიასა და მ. სიხარულიძის დუეტი — 71,72, ხოლო ცეკვებში — ლ. ნაკაიძისა და დ. ჯლამაძის წყვილი — 73,64.

სვერდლოვსკში, სადაც ჩვენი მოციგავეები შეკრებას გადიოდნენ, რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს: ვაჟთა შორის ერთადგილიანებით დაშვებაში — ფ. ქუმარიტაშვილმა, რომელმაც 4-დან 3 საუკეთესო ცდის ჯამში 1.57,11 აჩვენა, ქალებში — ქ. ჯეირანაშვილმა. მან ორი საუკეთესო დაშვების ჯამში 1 წუთი და 33 წამი დახარჯა.

ორადგილიანებით ჩემპიონები გახდნენ ვ. ქუმარიტაშვილი და თ. თედიაშვილი — 1.31,46. ყველა ეს სპორტსმენი ბაკურიანელია. ისინი ა. ქუმარიტაშვილისა და ვ. მიქაბერიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ.

საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის სახეობების განყოფილების უფროსმა ა. კალინინმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადისთვის საქართველოს სპორტსმენები ინტენსიურად ემზადებიან. როგორც ფიგურულ სრიალში, ისე სამთო-სათხილამურო სპორტში განსაკუთრებით იუნიორების იმედი გვაქვს. ციგაობაშიც საკმარი ქულები უნდა მივილოთ. შედარებით გვიჭირს ხტომებსა და რბოლებში, თუმცა სტარტებამდე დარჩენილი დრო ბევრს გვპირდება.

## ჭიდაობა

# ელისტის ხალიჩაზე

**ყალმუხეთის** საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ელისტაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიც შესაბამისი საზოგადოებების მიხედვით.

თქმა არ უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერ შეჯიბრებას, როდესაც კარზე ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონატებია მომდგარი, ნათლად მოჩანს მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის კონტურები.

ელისტის სპორტის სასახლის სარბიელზე ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა შეჯიბრება, რომელმაც ბევრი ახალი სახელი, ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა და გააცნო მაყურებელს. ჩვენთვის კი ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ თანამემამულემ თემურ ყაზარაშვილმა შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

თ. ყაზარაშვილმა 7 ორთაბრძოლა ჩაატარა და შვიდივეჯერ წმინდად გაიმარჯვა. თემური რუსთაველის, ვარჯიშობს სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან ი. ჩხარტიშვილთან. ადრე სპორტსმენს ავარჯიშებდა მწვრთნელი ო. გუგეშაშვილი. II საპრიზო ადგილზეა ლ. შავაძე (მწვრთნელი თ. კიკნაძე). III ადგილები წილად ხვდათ რ. კანთელაძესა („ბურევესტნიკი“) და გ. ოდიშარიას („დინამო“).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა „დინამომ“, მეორე — „შრომითმა რეზერვებმა“, მესამე — საბჭოთა არმიამ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თ. ყაზარაშვილი („შრომითი რეზერვები“), ბ. ფაშაიანი („დინამო“), ა. ბუალინი („დინამო“), ვ. მიტვა („ლოკომოტივი“), ა. კრავჩენკო („კოლმეურნე“), ვ. ბარანოვი („შრომითი რეზერვები“), ტ. ვინიჩენკო („დინამო“), ს. გოლუბოვიჩი („სპარტაკი“), ვ. ლეტოვი (საბჭოთა არმია), ი. კარაპეტიანი (პროფკავშირთა ნაკრები).

აღსანიშნავია, რომ შარშანდელთან შედარებით უფრო გაიზარდა ამ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენთა წარმომადგენლობა. თბილისელები მ. ყუბუსიძე, კ. ნინიძე („დინამო“), ტ. ლატარია („ბურევესტნიკი“), დ. ყიფიანი („კოლმეურნე“), რ. კანთელაძე („ბურევესტნიკი“), ს. ბაგაევი (საბჭოთა არმია), ნ. სუქიაშვილი („ლოკომოტივი“), ქუთაისელი — გ. ოდიშარია („დინამო“), მ. ავალიანი („კოლმეურნე“), ვ. კოპალიანი („დინამო“).

შეჯიბრების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს კლასიკური ჭიდაობის უფროს მწვრთნელს დ. დავი[illegible]:

„ასპარეზობა გამოირჩეოდა სხვა, დღემდე ჩატარებული ბევრი შეჯიბრებისგან თუნდაც იმით, რომ ამდენი (296) სპორტსმენი არცერთ საკავშირო მასშტაბის პირველობას არ ახსოვს. ისიც სათქმელია, რომ ტურნირი სპორტსმენთა საერთო და სპეციალური მომზადების დონით უტოლდებოდა დიდ ოსტატთა ჩემპიონატს.

ამ შეჯიბრებაში ქართველ ფალავანთა შედეგები მისასალმებელია იმდენად, რამდენადაც იგი აღემატება გასული წლის შედეგებს. მიუხედავად ამისა, მაინც უკმაყოფილო ვარ, ვინაიდან ობიექტურად გაცილებით უკეთესი შედეგისთვის უნდა მიგვეღწია. ჩემპიონატს მოუმზადებლები შეხვდნენ ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი: დ. ყიფიანი, კ. ნინიძე, ს. ბაგაევი, გასული წლის ასეთივე შეჯიბრების ჩემპიონი მ. ყუბუსიძე შეჯიბრებაში კარგი ტექნიკურ-ტაქტიკური ჭიდაობით მწვრთნელთა მოწონება დაიმსახურეს: გ. ოდიშარიამ, რ. კანთელაძემ, ტ. ლატარიამ, ლ. შავაძემ.

მათ გარდა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩაირიცხნენ მ. ყუბუსიძე და ს. ბაგაევი“.

**ო. მეხეშიძე,**
სპორტის ოსტატი.

# რამდენი წლისაა კარგი ჩოგბურთელი?

**ნიუ იორკი.** „ჯიმი კონორსი კიდევ 5 წლის განმავლობაში იქნება მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელი“, — ასე მიაჩნია მეორე ცნობილ ამერიკელ მოთამაშეს სანდი მაიერს, რომელმაც იუპ-ის კორესპონდენტს უამბო თავისი სპორტული კარიერის შესახებ.

„...11 წლის წინ მე და ჯიმი ეთამაშობდით ჩემპიონატში 14 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. მაშინ მე მოვიგე და ეს იყო ჩემი ერთადერთი [illegible] მას შემდეგ 24-ჯერ შევხვდით ერთმანეთს, — ამბობს 25 წლის მაიერი, რომელიც ამჟამად „უორლდ ტიმ ტენისის“ (ვტტ) ტურნირში უძლიერეს გუნდ „ნიუ იორკ ეპლზის“ შემადგენლობაში ასპარეზობს, — ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჭაბუკთა გუნდში გამოვდიოდით, ჯიმი „მტკიცე ხასიათის“ ახალგაზრდად ითვლებოდა“...

თავად მაიერი შემთხვევით არ მოსულა ჩოგბურთში. მამამისი ალექსი თავის დროზე დევისის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა. ახლა ვტტ-ში მაიერი საუკეთესო მოთამაშედ ითვლება წყვილთა თანრიგში. 1973 წელს იგი უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო ბოლო ორ სეზონში ტსმენად აღიარეს ვტტ-ში.

— კარგი ჩოგბურთელისთვის არ არსებობს ასაკობრივი ზღვარი, — თქვა მაიერმა და ნიმუშად დაასახელა ავსტრალიელი კენ როზუოლის თამაში, რომელმაც 40 წელს გადააბიჯა. (საკდესი).

## ოსტატი

# ლიდერობს მაია მოსიძე

პოლტავაში მიმდინარეობს სსრ კავშირის ქალთა პირველობის ნახევარფინალური ტურნირი საერთაშორისო შაშში. მონაწილეთა შორის არიან ცნობილი ოსტატები ე. სორკინა (მინსკი), ლ. აგაფონოვა (მოსკოვი), ლ. იაკოვენკო (ბაქო) და სხვ.

ფინალის საგზურისთვის წარმატებით იბრძვის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, თბილისის 126-ე სკოლის მოსწავლე მაია მოსიძე. მან ბრწყინვალედ განვლო 8 ტური და 7 ქულით (6 მოგება, 2 ყაიმი) ლიდერობს შეჯიბრებას.

ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ I-II ადგილზე გასული მოშაშეები.

**ვ. ნინუა,**
საქართველოს სსრ შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

# თბილისის ჩემპიონატები

რუსული შაშის ჩემპიონატში 11 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ოსტატი ა. ბერუაშვილი — 10,5 ქულა. რ. რეხვიაშვილსა და ვ. უმაროვს — 8,5-8,5 ქულა აქვთ.

ასუჯრიან მოშაშეთა შორის 10 ტურის შემდეგ ისევ ვ. გნიტეცკი ლიდერობს — 9 ქულა. მას ერთი ქულით ჩამორჩება თ. რეხვიაშვილი, ხოლო ვ. ბახტაძეს და ვ. კანდელაკს 6,5-6,5 ქულა აქვთ.

# XIII პარტია გადატანილია

როგორც ცნობილია, ხუთშაბათს ბად-კისინგენში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მ. ჩიბურდანიძესა (სსრ კავშირი) და ა. კუშნირს (ისრაელი) შორის დანიშნული იყო XIII პარტია, მაგრამ იგი არ შედგა. ჩიბურდანიძემ „ტაიმ-აუტი“ აიღო.

XIII პარტია უნდა გაიმართოს კვირას, 26 თებერვალს.

მატჩის ანგარიშია 6,5:5,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. სათამაშო დარჩა 2 პარტია. სსრ კავშირის ჩემპიონს ქულა სჭირდება მატჩის მოგებისთვის, კუშნირს კი — ორი ქულა.

## ჭადრაკი

# „ახალი ვარსკვლავი საქართველოდან“

ამ სათაურით ზაგრების (იუგოსლავია) გაზეთმა „სპორტსკე ნოვოსტიმ“ 14 თებერვლის ნომერში მკითხველებს აუწყა საქართველოს ქალთა 1977 წლის პირველობის შედეგები.

„პირველობაში, წერს გაზეთი, გაიმარჯვა საბჭოთა ჭადრაკის ახალმა ვარსკვლავმა, 16 წლის ნ. მელაშვილმა. II-III ადგილები გაიყვეს მისმა ერთი წლით უფროსმა დამ ქეთინომ და ნ. ჩხაიძემ“.

მერე გკითხულობთ: „უკანასკნელ წლებში ჭადრაკის განვითარებას საქართველოში ფანტასტიური შედეგები მოჰყვა. აქ ცხოვრობს მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მისი შესაძლო მეტოქე მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიო პირველობის ყოფილი პრეტენდენტი ნანა ალექსანდრია და ევროპის თასის მფლობელი 16 წლის ნანა იოსელიანი. მოკლედ, საქართველოს ნაკრებს შეუძლია 8 დაფაზე სძლიოს კარგი შედეგით „დანარჩენი მსოფლიოს“ გუნდს“.

# მოსწავლის მსოფლიო რეკორდი

**ბრისბენში** გამართულ ავსტრალიელ მოცურავეთა ჩემპიონატზე 15 წლის მოსწავლემ ტ. უიკჰემმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთა შორის მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 8.30,53. ეს შედეგი 0, 77 წამით სჯობს მისი თანამემამულის მ. ფორდის ადრინდელ მიღწევას, რომელიც წლეულს იანვარში იქნა ნაჩვენები.

## კალათბურთი

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში ორი მატჩი შედგა.

კაუნასში ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა — ცსკა-მ დაამარცხა ადგილობრივი „ჟალგირისი“ — 111:91 (52:49). მატჩში საუკეთესო სნაიპერები იყვნენ: გამარჯვებულთაგან ბელოვი — 31 ქულა, ხოლო კაუნასელთაგან — ჟუკაიტისი — 42.

კიევში ადგილობრივმა „სტროიტელმა“ უმასპინძლა ლენინგრადის „სპარტაკს“. მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს კიეველებმა — 93:92 (55:49).

## მძლეოსნობა

**ბუდაპეშტის** დარბაზში გამართულ უნგრეთის მძლეოსანთა ზამთრის ღია ჩემპიონატზე რუმინელმა სპორტსმენმა ქალმა ნ. მერეშესკუმ 1500 მეტრი 4 წუთსა და 5 წამში გაირბინა. ეს 3,1 წამით სჯობს ერთი წლის უკან ინგლისელი მ. სტიუარტის მიერ დამყარებულ უმაღლეს მსოფლიო მიღწევას.

# ფინალისტები რეპეტიციაზე

**არგენტინაში** ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატამდე 100 დღეზე ნაკლები დარჩა და ბევრი ფინალისტი ატარებს საწვრთნელ მატჩებს, რომლებშიც გუნდის ხელმძღვანელები ახალბედებს ცდიან.

მსოფლიო ჩემპიონებმა — გფრ-ის ფეხბურთელებმა მიუნხენში არგენტინის ტურნირის წინ დაგეგმილი ოთხი ამხანაგური მატჩიდან მოიგეს ერთი — ინგლისის ნაკრებთან — 2:1 (0:1). მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე 78000 მაყურებლის წინაშე, შესვენებამდე 2 წუთის წინ ანგარიში გახსნა სტუმართა ფორვარდმა პირსონმა. მსოფლიო ჩემპიონებმა მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლოს შეძლეს თავიანთი სათამაშო უპირატესობის გამოყენება. ჯერ ვორმმა 79-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა (ვორმმა გოლი გაიტანა, აგრეთვე გფრ-ისა და ინგლისის მეორე ნაკრებთა მატჩში, რომელიც ინგლისელებმა აუგსბურგში მოიგეს — 2:1), შემდეგ 86-ე წუთზე ბონჰოფმა ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ანგარიში გაზარდა.

გფრ-ის გუნდში ავადმყოფობის გამო არ თამაშობდა ამჟამად გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი ფიშერი. მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელი ჰელმუტ შიონიც გაცივდა და მატჩს სასტუმროს ნომერში ტელევიზორით ადევნებდა თვალს.

თერთმეტი თვის შესვენების შემდეგ გფრ-ის შემადგენლობაში ითამაშა ცენტრალურმა მცველმა შვარცენბეკმა, რომელიც ბეკენბაუერის ფუნქციებს ასრულებდა. იმასაც დავუმატებთ, რომ ინგლისელებთან მატჩის წინ გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ბეკენბაუერი არ მიიღებს მონაწილეობას არგენტინის ჩემპიონატში, ვინაიდან მისი ახლანდელი კლუბი „კოსმოსი“ (ნიუ-იორკი) ფეხბურთელს მხოლოდ არგენტინის ტურნირის პერიოდში ათავისუფლებს.

მიუნხენში გფრ-ის ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: მაიერი, ფოგტსი, რიუსმანი, შვარცენბეკი, ციმერმანი, ბონჰოფი, ფლოე (ბურგსმიულერი, 35), ნოიმანი (დიტცი, 55), აბრამჩიკი, ჰელცენბაინი (ვორმი, 57), რუმენიგე. მორიგ ამხანაგურ მატჩს მსოფლიო ჩემპიონები 8 მარტს მაინის ფრანკფურტში გამართავენ სსრ კავშირის ნაკრებთან.

შოტლანდიის ნაკრებმა გლაზგოში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ბულგარეთის გუნდი. (საკდესი).

## ფეხბურთი

# გამარჯვება პირველ მატჩში

**ირანში** მიმდინარეობს ახალგაზრდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. სსრ კავშირის ნაკრები აბადანში პირველ მატჩში შეხვდა ხუზესტანის პროვინციის ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0 (1:0).

ჩვენს ფეხბურთელებთან ერთად ქვეჯგუფში გამოდიან, აგრეთვე ბრაზილიისა და საბერძნეთის კოლექტივები. ამ გუნდების შეხვედრა ბრაზილიელებმა მოიგეს — 3:0.

●

**თბილისის „დინამოს“** ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა აცხადებს 1965-1969 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას.

შერჩევა მოხდება სკოლის მწვრთნელთა საბჭოს მიერ ყოველ კვირადღეს 10 საათიდან ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე სპორტული თამაშების დარბაზში.

# მადლობა

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას, რესპუბლიკური სპორტკომიტეტის სპორტის საწყლოსნო სახეობის განყოფილებას, რესპუბლიკური სპორტკომბინატის აუზის დირექციას და ყველა მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ყოფილი წყალბურთელის, საბჭოთა კავშირის გმირის, ავიაციის გენერალ-მაიორის გ. ა. მერკვილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წყალბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ჩატარებაში.

გ. ა. მერკვილაძის ოჯახი.

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93 97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93 93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-61.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09957